



1910 წ. კვირა

წასი 10 კაპიტი

14 თებერვალი

შინარსი: სათეატრო კავშირა (ტეატურა); ქარ. დრ. საზ. გამგეობის მოხსენება; ან. წერეთლის, ეკ. შესხის; მომავალი მსახიობი, შ. დღეასის; გულის კენეს, ლექსი კ. ჯუმაგელასი; სიანის მტრად, ნ. ღონთიქიანის; დრამის მოკლე ისტორია, ნარვალის; ქართ. თეატრი, [Ro-Ben-ის; დედის ერთა, ვ. გუნასი; შიგანზადე, ე. კას; სიმენთა მსახიობნი—ბ. შელიქიანი; ჩუენი მსახიობნი—ტ. აბაშიძე; ნემო. სურათები.

1910 წლიდან გამოდის
სურათებიანი ჟურნალი
 თეატრი და სპოზრება
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Иос. Зах. Имедашвили.
 № 10 კ. წლით 5 ა. ნახ. 3 ა.



ბარბარე მელოდრამი

25 წ. სასტ. მოღვაწე. იუბილის გამო არტ. საზოგ. თეატრში 15 თებერ.



ან. მიხ. თშვეტის თეატრი
 „კევილი“ № 20 წ. იუბილის გამო
 დღეს ქართ. თეატრში ბუნეფისა ტ. აბაშიძის.
 ხუთშაბათს 18 თებერ. ბუნეფისა ი. ზარდაღიშვილის, წარმოადგენენ ბიესის „დანაშაული და სასჯელი“.

14 თებერვალი 1910 წ.

სათეატრო ბოლო ხანს კავშირი. ჩვენს თეატრზე ბევრს ლაპარაკობენ. ქართული თეატრის დაქვეითების მიზეზად ყველა, მიმართულებისა და მდგომარეობის განურჩევლოდ, თითქმის ერთსა და იმავე მოვლენას ასახელებს...
 წამალი? არა სჩანს.



ტ. აბაშიძე

10 წ. სასტენო მოღვაწე. და ბენეფისის გამო

ყრველდღიური ცხოვრება თვითონვე გვიკარნახებს—როგორ მოვიქცეთ.

ჩვენი დიდი თეატრები გასაქირს განიციდან უფულობითა და ურეპერტუარობით.

დაბა-სოფლებში მოქმედებენ სცენის მოყვარენი, პატივი და ღიდება მათ,—მაგრამ მოქმედებენ ხშირად მიზნის შეუფერებლად...

ეს არ კმარა: ხშირად სოფელს, ანუ დაბას მოველინება ვინმე „არტიტი“, რომელიც საზოგადოების ნდობას უმეცრად, ან ბოროტად ხმარობს.

ამიტომ აუცილებლად საქირაო სათეატრო კავშირი, საქართველოს სცენის მოღვაწეთა გაერთიანება...

დრამ. საზოგადოებათა გაერთიანების სურვილი ამას წინად ჩვენ უკვე გამოვსთქვით.

ქვემოდ ვებქდავთ ქართ. დრ. საზ. გამგეობის მოხსენების ამ საგულისხმო საგნის შესახებ.

და მომავალმა წარმომადგენელთა კრებამამ მოხსენებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.



ქართულ დრამატულ საზოგადოების სეკანცებო კრებას (მოხსენება)

თეატრი, როგორც მოგვხსენებთ, შედგენს ერთს უმთავრეს იარაღთაგანს, რომ შევიტანათ ხალხში. თვითცნობიერება და განვითარება.

ჩვენმა ხალხმა კარგად შეიგნო თეატრის ეს დიადი მნიშვნელობა და მთელს საქართველოში შეუღდა მის აღორძინება-განვითარებას. თუ 50 წლის წინად ჩაიდვა თბილისში მუღიგი თეატრის პირველი საძირკველი და მხოლოდ ერთ ადგილას იმართებოდა წარმოდგენები, ამ ჟამად იმართება სისტემატიურად, როგორც ქართულ თეატრში, ისე სახალხო სახლში, ავლაბრის თეატრში და სხვაგანაც. წარმოდგენები იმართება აგრედვე თბილისის გუბერნიაში — თელავში, გორში, სურამში, ახალციხეში და სხ. დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში, ყვირილაში, კიათურაში, ხონში, ოზურგეთში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში და თითქმის ყველა ჩვენს დაბა-სოფლებშიაც.

ამდენს ხანს თუ ერთი ქართული დრამატული საზოგადოება იყო, — ამ ჟამად ასეთი საზოგადოებანი დაარსდა აგრედვე ქუთაისში, გორში, სურამში, ოზურგეთში, კიათურაში, ყვირილაში და სხ. წინად თუ ერთი დასი იყო, ამ ჟამად მუღმივი დასები არიან თბილისში, ქუთაისში და სხ. სცენის მოყვარენი გაფანტულნი არიან საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.

ყველა აღნიშნული საზოგადოებანი დასები მუწაობენ ცალკე-ცალკე, უსისტემოდ და,

ხშირად, ერთი მეორის მოქმედებასაც ხელს უშლიან, არა აქვთ ერთმანეთში მტკიცე კავშირი, არა აქვთ ერთი განსაზღვრული გეგმა, შემუშავებული რეპერტუარი, არა აქვთ თავისი ორგანო, არ არსებობს არტიტებისათვის საერთო სავალდებულო წესები, არ არის მთელი საქართველოსათვის ისეთი საერთო თანხა, საიდანაც შესაძლებელი იყოს მიეცეს ჩვენს არტიტებს სიბერისა თუ გაქირვების დროს დახმარება, ანუ პენსია; არ არსებობს ახალგაზრდა არტიტებისათვის სკოლა და სხვა. ყველა ეს კითხვები იმდენად რთულია, რომ უსათუოდ საქირაო საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა მათს გამოკვეთა-შემუშავებაში. ამიტომ ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს ქართულ სცენის მუშაკთა და დრამატულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება (Съездъ представителей сценических дѣятелей и драм. общества) დაახლოვებით შემდეგის გეგმით:

1. სცენის მუშაკთა და დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება უნდა გაიმართოს ქალაქ თბილისში მომავალ სეზონის დაწყებამდის, დაახლოვებით მაისის დამლევამდის ან ივნისში.

2. კრებაზე მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტის ხმით, როგორც მუღმივი დასის, ისე სცენის მოყვარეთა ჯგუფის და დრამატულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. თითო

ორგანიზაცია გზავნის კრებაზედ ერთიდან სამს წარმომადგენელს.

3. კრების საგანი: უნდა განხილულ იქმნას დაახლოვებით შემდეგი კითხვები:

ა) სასურველია, რომ იყოს ერთი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო მთელის საქართველოსთვის, თუ ყოველ კუთხეში არსებობდეს სრულიად დამოუკიდებელი ცალკე საზოგადოება. და თუ სასურველია, როგორ უნდა მოეწყოს ეს ცენტრალური ორგანო და რა დამოუკიდებულობა უნდა იყოს ცენტრალურსა და პროვინციის ორგანოებს შორის.

ბ) რა საზოგადო წესი და პირობები უნდა იყოს შემუშავებული არტისტებისათვის.

გ) რეპერტუარი ორიგინალური და თარგმნილი.

დ) რეჟისორის, მისი თანაშემწისა და სცენარისტის საკითხი.

ე) სკოლა არტისტებისათვის.

ვ) დრამატული ხელოვნების ორგანო — ჟურნალი.

ზ) საპენსიო თანხისა და კასის დაარსება.

ი) სხვა და სხვა კითხვები, რომელნიც კომიტეტი ითვალისწინებს, სცენას, მის მუშაკთ და პიესებს.

4) კრება გაიყოფება სექციებად. წაიკითხავს ამ საგნებზე რეფერატებს და შემდეგ საერთო კრებაზე გამოიტანს თავის რეზოლიუციებს.

დრამატ. საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს საზოგადო კრებას, მიიღოს ეს საკითხი პრინციპიულურად და აირჩიოს გამგეობასთან ერთად ცალკე აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დაამზადებს ამ საგნისთვის საჭირო მასალას; შეიმუშავებს უფრო დაწვრილებით გეგმას, გამოიწვევს სახსარს, რომ დაჰფაროს ის ხარჯები, რაც ამ კრებისათვის იქნება საჭირო და სისრულეში მოიყვანს ამ სურვილს.*)

ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მკვიერ პართენ გოთუა

*) ეს მოხსენება წაკითხულ იქნა დრ. საზ. საგანგებო კრებაზე. კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო და კომისიაც ამოირჩია. კომისიაში მოაყენეს: ნ. ლორთქიფანიძე, ვლ. ალექსი-შენიშვილი, ე. ხრამელაშვილი, ს. კლდიაშვილი, ლ. მერტრეპელი, ს. ფირცხალავა და ბ. სურგულაძე.

ჩვენი მწიგნობარ-მოღვაწენი

ანატასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა

1910 წელს 1 იანვარს 20 წელიწადი შესრულდა, რაც ჟურ. „ჯეჯილი“ დაარსდა. ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ჟურნალი მდიდრი სამსახური გაუწია ქართველ ბავშვებს: შეასწავლა და შეაყვარა მათ დედა-ენა და წერა-კითხვა, გააცნო საუკეთესო ჩვენი მწერლების ნაწარმოებები და ნათარგმნი მოთხრობები. დიდი შრომა და ნივთიერი ძალა დასჭირდა, რომ ჟურ. „ჯეჯილი“ იმ საპატიო გზაზე დამდგარიყო, რომელზედაც დღესა სდგას. ეს მძიმე საქმე იკისრა ჟურნალის გამომცემელმა და რედაქტორმა ანატასია მიხეილის ასულმა თუმანიშვილმა-წერეთლისამ.

ანატასიამ სულ ახალგაზრდამ ქალებს ინსიტუტში დაამთავრა სწავლა. ის მდიდარი ოჯახის შვილი იყო, ქართული ენა შეაყვარა მამამ, ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია განსვენებულმა თავ. მიხეილ ბირთველის ძემ თუმანიშვილმა. მართალია, ეს ოჯახი სარწმუნოებით სომეხი იყო, მაგრამ ტომით და გულითი ნამდვილი ქართველი. განსვენებული თავ. მიხეილი იმ პაზრისა იყო, რომ სარწმუნოება სხვაა და ტომი სხვაო. მე ტომით ქართველი ვარ, მათი იდეალი შვილი და ამიტომ მე ისინი მიყვარანო. მამის ამგვარმა პაზრებმა ანატასიასაც შეაყვარა ქართული ენა და ქართველების სამსახური. ის ფრანგულიდამ პატარა ბატარა მოთხრობებს სთარგმნიდა ხოლმე, რომლებიც განსვ. სერგეი მესხის რედაქტორობის დროს ვაზ. „დროება“-ში იბეჭდებოდა.

ანატასიას იმის მიგვირად, რომ თავის დროს თავად შვილის ქალების მზავავსად ბილესა და გასართობებს აჰყოლოდა, სხვა და სხვა საზოგადოებათა სამსახურსა სკდლობდა: იმისი შემწეობით და თაონობით დაარსდა. მასწავლებელთა დამზარებელი ქალთა საზოგადოება დიდხანს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად იყო, სოფ. ხელთუბანში სკოლა გახსნა და სახლი აუშენა სკოლას და ნაყოფიერად შრომობდა. ყაზბეგის სკოლა, რომელიც რუსის სასწავლებელ ქალების ხელში იყო და უსაშუალობის გამო დახურვას უპირებდნენ, ანატასიამ ქართველ ქალების პატარა წრე შეად-

გინა და მათი შემწეობით ამ სკოლის წარმოებას შეუდგა. ამ სკოლაში ვერის განაპირა ადგილებს ქართველი ღარიბი ოჯახის შვილები სწავლობდნენ; უფროსებს, რასაკვირველია, ამ სკოლის ნორმალური წარმოება ქართულ ნიადავზე არ მოეწონათ და მალე დაჰკეტეს. ამ გარემოებამ საზოგადოება „განათლების“ დაარსება გამოიწვია. ანასტასიამ აქაც დიდი მხნეობა გამოიჩინა: ორიოდვე თვის განმავლობაში ზემოხსენებული პატარა წრე ლეგალურ საზოგადოებად გარდაიქცა, რომლით თავმჯდომარედ ანასტასია ბრძანდებოდა. ამ საზოგადოებას ახლა ორი სკოლა აქვს: ერთი დასაწყისი მოსამზადებელი და მეორე პროგრამინაზიული.

მამ მვიდეთ 14 თებერვალს დილის 12 საათზე ქართულ თეატრში და ვესპეროთ მისი საყვარელ შვილობილის „ჯავჯილი“-ს აყვავება და დიდი ხნის სიცოცხლე. დღერთმა ჰქმნას, რომ ჩვენს ღარიბ ქართველ საზოგადოებაში ბევრი ამისთანა მხნე და დაუზარებელი ადამიანი აღმოჩნდეს!

მკ. მესხი



გულის კენესა!

ბელო მძინარე,
გამომიდარე.
გნებული გული მკერდს მიიკონე;
და დუხპირ ბედის,
ჩემი წარმწყემდის
სიმწარით სრბოლა მკერდს ვაიწონე!..
ცოცხლადა ვდნები,
როს თავს ვეველები
უფსკრულში შთანთქმულს ადამიანსა;
და ჰვოდებს ქნარი,
ტრფობით დამდნარი,
რიადანც ვერ უკმეებს გუნდრუქს მიზანსა!...
ქვეყნის მყრობელმა,
სოფლის მცნობელმა,
აზრმა ვერ შესძლო ბედის მონება;
და არ შემწიკვლა,
დაჰკმო... წაპბილწა
თვის ტრფობის ნასკვი... საძებნი მცნება!..
ბნელ ბრბოს მტერობას,
ბედის გერობას,
ქედს არ მოუღრგეს ამაყი სული;

თუ ვერ იხარებს,
თვის ბედის კარებს
მინც არ დაჰკმობს ლტოლით გზნებული!...
სულის კვეთება
ღვივის... ენთება
შვე აზრთა დენით შეწუხებული;
და ჰკენესის მწარედ,
შავ-ბნელ სამარედ
წმინდა აზრთათვის შობილი გული!

ქ. ფშაველა



მომავალი მსახიობი

(გავრძელება იხ. თ. და ც. № 6)

მომავალმა მსახიობმა თავისი სელაფურე თამაშით უსათუად უნდა შეკავყაროს სელაფუნება: ის, ვინც თათონას სელაფანი, უსათუად თავისიანესსც გაუზიარებს სელაფუნების მშეკნიერებას. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვთქვათ: ეველას გმწურაა ჭეშმარიტი სელაფუნების სინთლე-მეოქი. მსახიობის მოვალეობას მდლა ასწიოს სელაფუნების კანდელი და მის გზაზე წინ გაკვიდეკს. ამით ჩვენ მომავალ მსახიობს მსწავლეებულ-მოდღვის რთლს ვაგისრებთ. მგრამ მსახიობს გაცილებით მისმე სმეუშაო აწეეს თავზე, ვინმე მსწავლეებულს. უკანსკენებულს ევეკ დამზადებული მსლას უჭირავს სელაში, და თეთთან მისკანას დამოკიდებული, თუ რა რივ გაცნოცხლეს იგი თავის სკანს, რომ თავისი კანსო-ზღვრული წრე — ახლგაზრდა მსმენელი კაიტაცნოს და კუდეკიოს სწავლის წეურელი. მსახიობს არაფერი აქვს სკლით, კარდა თავისი ნიქსია. იგი თეთთანვე ჰქმნის თავის სმომდგრო სკანს, თეთთანვე ასუდეგმულებს მას და თეთთანვე ამის შემდეგ სწირავს იგი თავის ქმნილებს კრის კანსო-ზღვრულ დარბაზს—სსაკუში შესულს მუურებულს, რომელსც თავისი სკეუთარი შესედეულობა აქვს. მეტად წმინდა, ფაქიხი და ამავე დროს ფსო-ველი ფიორფიტა უნდა იყოს მომავალი მსახიობის კრძნობა, რომ მან სლხსის აღზრდა-გაფაქიხება შესძლოს. თუ არის სლმე ისეთი რამ, რომელსც ძლიერი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს — ეს სწორედ სელაფუნებაა, რომელიც ეველასთვის ერთნაირად ძვირფასია და სსნატრელი. და ეს მძლავრი იარაღი სკლით უნდა ეწერას მომავალ მსახიობს. წმინდა ჭეშმარიტ სელაფუნებს თავისი ფორმა აქვს, კარკანი გამოსტუება. მას ესარება „თე-

ტრადუცი მსხერები“ , რომელიც დადი სწინა დაჭეზ-
ტრინების ჩვენს სტენას და მსახიობსაც. მიმავალი
მსახიობი მთელ თავის გრძობას შთანერვავს თავის
გმირს, იგი შეისწავლის გმირის სულს ღრმად, ასე
რომ ის ზოზა და გარეკანი ეგექტი, რომელსაც
ამ ვამად მიმართავს მსახიობი, სავსებით უარყოფი-
ლი დაძრება. გრძობამ არ იცის წინასწარნი ვადობი,
და მიმავალი მსახიობის დამახასიათებელი ნაკვთი
სრული მარტივობა უნდა იყოს სტენასზე,—მარტი-
ვობა, რომელიც გაცილებით მეტ რასმე შეკვების,
თუ ჩვენ კულტურისაზნი ვართ, ვინმე შევირდას,
კლასიკური ზოზა ან იათუ-ფასიანი ეგექტი.

ზემოდა ჩამოთვლილ ზირთბებს მივუმტობთ ისიც,
რომ მიმავალმა მსახიობმა მიშენივრად უნდა იცო-
დეს ქართული ენა, და მასში იგი სავსებით შეს-
რულეს თავის დანიშნულბას. ეს შედეგი არის
მთელი ხელის კულტურული ზრდა-კავშირების.
მისი ცოდნა მრავალს სარგებლობას მოუტანს მიმ-
ავალ მსახიობს. ქართული ენით გამოსთქვამს ქარ-
თული თავის ჭირ-ვარამს, ლექსად იქნება აწყობი-
ლი, სიმღერად ან დრამატული ფორმაში. დედა-ენა
სესენს ჩვენისთანა ზატარა ხელს თავის სიძლიერეს,
რადგანც განვითარებული ენა განვითარებული კულ-
ტურის შედეგია. სტენა, როგორც სკოლა, შეუბილ-
წავად, წყურფერულად უნდა ინახავდეს დედა-ენას. ამ
მხრივაც დადი მოვალეობა აწვეს ჩვენს მიმავალ
მსახიობს. რად თქმა უნდა, ასეთი მოთხოვნილება
სრულბითაც არა სზობს ჩვენი თანამედროვე მსახი-
ობისათვის დედა-ენის ზედმიწევნით ცოდნას. მაგ-
რამ ამ მოთხოვნილებით სავსებით შესრულბება მიმ-
ავალი მსახიობის ვალია. სიმაჟალი მსახიობი, რო-
გორც ზუბოდიცისტი, მსწავლეებელი და კრიტიკისი,
უნდა იცნოდეს დედა-ენას გარკვე კავლენისაგან.

სად უნდა ექობდეს ჩვენი მიმავალი მსახიობი
თავისი ნიჭის გასაძლიერებელ წყაროს? სდა არის
მისთვის ფართო ახზარება? როდის იქნება იგი მე-
ტად ძლიერი და გავლენიანი? აშკარაა, თანამედრო-
ვე ლიტერატურა სურათად გაავითარებს ჩვენს მსა-
ხიობს გონებრივად, გაუფართოებებს ჭიროხობტს,
რადგანც არ დაზნა ისეთი კუნჭული ადამიანის ცნობ-
რებაში, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურა არ
შეუბოდეს. სულ სხვა კითხვა, თუ სდა უფრო
ფართო ახზარება აქვს დომობილი მიმავალ მსახი-
ობის თავისი ძლიერების გამოსახენად. და ჩვენც
ორიოვე სიტყვით შევეცდებით ზსუსხი გავცნოთ ამ
სამართლიანს და სინტერესო კითხვას.

ჩვენი სტენა ძლიერ ჩამოზნა რუსეთის და ევ-
როპის სტენებს. ამის მიზეზი მრავალი არის, —
უბირველებს ეოფლის ისტორიული მიზეზებისა.
ჩვენ გკითხნათ თითქმის უღტრა-რეალისმამ და
შელოდრამატოულმა ჭნაგებმა, და მსახიობიც უძლე-
რია ამ დარგში რაიმე შექქმნას თავლწარმტადი,
დაიდა, რაც ღრმად ჩაეჭრება ჩვენს კულას. თუ
არა ვცდებთ, მარტობდენ ზარბის ერთს იათუფასი-
ან თეატრში-და სდაგვეს ისეთს ზეიესეს; რომლი-
თაც ჩვენ დლეკნდელი ჩვენი სტენა გგვეგებას. დი-
დი უღლდებობა აქნებდა, ამ უღტრა-რეალურისა
და შელოდრამატოული მიმდინარეობიდან უტებ გადა-
გვებობების მისტაეური სიმბოლიზმისაგან, რომე-
ლიც რუსეთის საეკეთესო თეატრში სოეებს. არა-
ფერს ვამბობ სოეო სტენის შესახებ: ამის შედეგ
წერილებში გავარკვევ, თუ გარემოებამ ხელი შემი-
წყო. ასეთი ნახტობი აუცილებლად გაზს დაუბიე-
და ჩვენს დამნიებულ მსახიობს, რადგანც იგი სრუ-
ლიად მოუშხადებელია ამ სტადიისთვის. მიმავალი
მსახიობი იქნება ის ხიდა, რომელიც შეაკავშირებს
აწინდელს ჩვენს სტენას მორეულ მიმავლთან. და
რადგანც მიმავალი მსახიობი ინდოიადუალისტია,
იგი უსათუოდ მთელ თავის უურადლებას ჭაბუტმხისს
და ისინისთანა მწერლებს მიაცეკვს, რადგანც აქა სავ-
სებით დწრესული ზირთბების, რომლის ინტერპრეტაც-
ისაც მიმავალ მსახიობს ვთხოვთ. ჩვენ სრული უფლები
გვექვს ეს მწერლები ნეო-რეალისტურ მიმდინარე-
ობას მივაკუთნოთ. ნეო-რეალისმი სრულბით არ
ეწინააღმდეგებთ ამ მწერლების დამახასიათებელს
ზირთბების კულტს. მეორე მხრით, იგი გაყრბის
იმ მეტაფიზიკურ ატმოსფერას, რომელმაც თავის
გმირებს მისტაეურ-სიმბოლიური მიმდინარეობა
ახევეს. უღტრა-რეალური ვერ განავითარებს მსახი-
ობის სრული ძაღს, რადგანც ასეთი ზეიესები ამის
ხაკლებად აქცევს ურადლებას; მისტაეურ-სიმბოლი-
რი სულ დაუყარავს თავისებურბებს ეოველიევი მსა-
ხიობს, — გაისხეუთ, მკვალე, ახდრევეის ტრი-
ლოგია: რს შექქმნის მსახიობი ამ ზეიესეში? —
ძალა-უნებურად რეეისორის ურმოჭრილ მინად აქ-
ცევს მას. და მიმავალი მსახიობიც ნეო-რეალისმამ
უნდა ექობდეს სოეირ ნიადგეს: მხოლოდ აქ
შესილებს იგი შეინარჩუნოს თავისი სხე, სანა-
ტიო ადგალი მსახიობის, აქ განავითარებს იგი
თავის ფენტასიას. ამითი სრულითაც არ მინდა
ვსოქვა, სიმბოლიზმი ჩვენითვის აგრძალული ხიდა-
მეთი. არა! აქ საქმი მარტობდენ ხუადინდელ დღეს

შეესება და არა შორეულ მომავალს. სვანდინდელი დღე-კი უსათუოდ ნუთრადილხმისაკენ გავკოტაცებს. ეს მიმართულება შექქმნის და მოუშვადებს განვითარებულს და დაუცნობელ მუშაკებს მომავალს სიმბოლოებს და, თუ კნებათ, სთუო სენას, თუმცა ამ უკანასკნელის მე ვერაფერი ვჭრა.

დასასრულ, ორიადე სიტუეით მაინც უნდა ადუნაშნოთ ის, თუ რა ადგილს დაიჭერს სენასზე მომავალი მსახობა, ან რაკორი ურთი-ერთობა იქ-შეება გამეფებული მომავალ მსახობას და რეჟისორის შორის, მაგრამ ამაზე შემიდეგ ნამერძი.

3. დადვაძე



მსახობა ნემო (მ. ჯანაოვი)

ბენეფისის გამო ქუთ. თეატრში
18 თებერვალს

ს ი ო ნ ი ს მ ტ რ ე დ ი!

შენ მიკარნახებ. შენთვის ვწერ. შენ გიძლენი.

შენობით რომ მოგმართავ, არც სიახლოვეს ვჩემობ, არც უნუგემო იმედი მაქვს, რომ გაგათამამებ და შენც შენობით დამიწყებ ლაპარაკს; მაგრამ შენ მართლაც შენ ხარ,—ერთად ერთი უტოლო, თუმცა ამხანაგ-მეგობრებით სახეც.

როცა სხეები შეიკობებიან საზოგადოებას, წრეს, ხალხს შეიდეგენ—შენ-კი... შენ რჩები, ერთი, შეუერთებელი, თავისებური ერთი.

ყველა „ისინი“ არიან; შენ-კი — ან შენ ხარ, ან ის.

შენი სახელი ენაზე მადგია, გულს მაწვება წარმოსათქმელად, მაგრამ არ ვიტყვი: მეშინია ბრბოის ხმისა და „ღარიბთა სიბრძნისა“.

ზღვა რომ ზიზლით აღელდეს, შენ ხირქს ვერ მოცუტებს, ყოველი არსის ხმა იერიჰონის საყვირად რომ გადიქვს, სახელს ვერ შეგილობავს, მაგრამ ოღნავ რომ შეგვეკრას სეტყაი შუბლი, ოღნავ რომ ჩავაფიქროს—არა, შენს სახელს არ

დავწერ! ან კი რა საჭიროა?

განა თოვლი პირველად შენ სახელს არ სწერს თეთრი ზოლებით?

ხეებით დაფარული მთები ხვეულის ხელით ხატავს ასობეს შენის სახელისას.

განა ცა მკერდზე არ ამოიქმდს ვარსკვლავებით შენს სახელს, ალვის ხე შენს ნარნარ რხევას ჰბაძვას.

ბუღბული თვალეხს ხუჭავს, შენ წარმოგიდგენს და გიმღერს. ტალოთა ტორტმანში განა შენი სახელი არ მოისმის. შენ ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მშვენიერებითა შენითა.

ყოველი მიჯნურის ალერსს შენ აძლიერებ. ის ნუ ასხურებ მეტს სინაზეს: ეყოფა, რაც გიჩუქნია!

ტევირი თმასა გთხოვს თავის დასაბურავად. ვინ, რამ ჩავიდგა ტბანი თვალეზად?

მანდ ბუნება გაქვავებულა, მთელი ძალი თვალეზში შემოიკრებია, შენ შემოგაყურებს გაქვავებულა.

აქ ქარი სწეწს და გლეჯს ყველაფერს. გრიგალ ქარს ვევედრები; როცა შენთან მოვა, სიოდ შემოგველოს თავზე და ნახად ჩავიფუტუნო:

სიონის მტრედო!

6. ლორთქიფანიძე



დრამის მოკლე ისტორია

რომი

მის შემდეგ, რაც საეკლესიო დამოუკიდებლობა დაჭკვრავს და რომის ზრთოვინიად იქცა, მან დაჭკვრავს მისთანე თავისი დრამის ისტორიაც. თუმცა ბერმანს ავტორებია სწერდენ კიდეც ახლანდელს ზეესებს, მაგრამ მათ საზოგადო ისტორიკოსად აღარ ქვინდათ. მხოლოდ ერთი იყო მათგანი დირსი უერად-ღებისა—ეს იყო მენანდროსი, რომელმაც შექქმნა ახალი კომედიის ე. ო. არა ზალიტიკური და საზოგადო ცხოვრების გამომსტეველი ზეესა, ანამდე უბრალო ხალხის კერძო ცხოვრების დამსურათებელი; სამწუხაროდ მის კომედიებთან მთლად ადარაფერს მოუღწევია ჩვენამდე, მხოლოდ ნაწილები-ნაწილები ნაკვეთები და მისწრებული ფრასებო-და დარწხნა-და სხვა ავტორების ნაწერებში.

ამის შემდეგ შეგვიძლიან გადავიდეთ რომელი-
 თა ისტორიაზე. საბერძნეთის შემდეგ დიდებულ
 რომის ისტორიაში ხუთ ვერ ვხვდებით იმ დარვის
 ღირსეულ წარმომადგენლებს და ისეთ დიდებულ
 ტრაგეიკოსს, ან კომიკოსს, როგორებიც იყვნენ სო-
 ფოკლეს და არისტოფანეს. რომაელების დრამატო-
 ული ზოგჯერ იყო სუსტი ანტიკური, მართალი
 მისაძვად დიდებულ, ბუმბერაზ ბერძნულ დრამატულ
 ზოგჯერ.

რომაელებს არა ჰქონიათ საბერძნეთის კაცო-
 ბამდე არამც თუ რიგობი დრამატული ხელოვნება,
 არამედ საზოგადოდ ღირსეული და მნიშვნელოვანი
 მწერლობაც-კი.

ამიტომ რომელიც დრამატული ზოგჯერ მოღა-
 დ იყო საერთო ბერძნობის კაცობისა და დასწავლუ-
 სის. რომაელები ავტორები უმოდ ჰქონდათ ბერძნის
 გენიოსები, ბაღდურად ტიტუსებს მათი განუვითარ-
 რებელი ენა და ახრი ბორძიკობს.

რომაელების ზირველ დრამატურგად ითვლებს
 ლივიუს ანდრინიუსი, რომლის ზეისც ზირველად
 დაადგა სტენსზე 240 წელს (ქ. შობამდე).

ჩქედან ითვლებს რომელიც დრამის ისტორიაც.
 რაკი გეოთ გადაეს დრამის, მალე ხელიც მიჰ-
 უყვს და დრამატული ხელოვნება განვითარდა რომ-
 ში.

მკვრივ რომელიც ტრაგედიები ისე არ მის-
 წინდით, როგორც კომედიები; მეტს ზატოც უფრო
 უკანასკნელს სტემდე. ამის მაგნიზი ის იყო,
 რომ განუვითარებელი და მოუხეშავი რომის სლხი
 თხოულად უფრო კაცობის, კაცინიანს, ვიდ-
 რე განიების სხრდოს, დად გულის თქმითა გამო-
 ხატვას.

აკი რომში უფრო მეტს ზატოვი იყო ცირკი!
 თავდა-ზირველად საზოგადოთ რომელიც ძა-
 ლანი მირეუ ზატოს სტიმდენ სეროთად ზოგჯერს,
 კერძოდ-კი დრამატულ ხელოვნებას. წარწინებულ
 თვისაშიღელი იარ წერუნადენ ზოგჯერს განვითარე-
 ბისათვის და ზოგჯერ მისების სულად ითვლე-
 ბოდა. მართლაც ზირველში რომელ დრამატულ
 ზოგჯერს ქურუმებდ ითვლებოდათ თითქმის სულ
 არა რომელიც, დაბად წოდების და უცხო თემე-
 ბიდან მონად მოეყვანილი ზირები, ამოჯან თხი
 ტრაგედიის მწერალი იყო: სეპუსი (264—194
 ქრ. შ-დე), ენონუსი (169), ზეპუსი (129) და
 ატრუსი (103.); თხივ კომედიის მწერალი: იგო-
 ვტ სეპუსი, ზღვტუსი (254—189), ტრედიუსი
 (186) და ტერენციუსი (185—159).

მკვრივ ეს მწერლები არამც თუ თავიანთ სხო-
 კადობრების მდგომარეობით იყვნენ მისები, არა-
 მედ მწერლობითაც: ე. ი. იგინი-კი არ ჰქონდათ
 ორიგინალურს დრამის, კომედიის, არამედ ბერძ-
 ნის ავტორების სიუჟეტებს იღებდენ, ცოტას შუა-
 კეთებდენ თავიანთთურად და გამოვიდოდა სხლი
 რომელიც თხზულება; სმირად ზირდაზირ გადასთარ-
 კმინდენ ხლმე რომელიც ბერძნულს ზიესს უმნი-
 შნელო ცვლილებით.

მართლაც, არის ტრაგედიები რომის ისტო-
 რიიდანც, მკვრივ მთი რიგები ძლიან მირეუ და
 თამამად შეიძლება თქვას, რომ იმ დროის დრამა-
 ტული ზოგჯერ სრულებით არ არის ეროვნული.

„შემდეგშიც დრამატული ზოგჯერ რომი ძა-
 ლან სუსტობდა. ახლს ზიესს ცოტას-და მწერ-
 დენ, უფრო ძველებს თამამადენ, თუმცა-კი მის-
 ხობობა უმადეს სრისისმდე განვითარეს. საზოგა-
 დობას უფრო მხარული და სსხცილო ზატარა
 კომედიები მისწინდა. სდაც ცოცხლი და სკირი-
 ული სურათები იყო სოფელი და ქდაქელ მდამო
 ხლხის ცნობრებდან. ამას კარდა განსკოთრებულ
 უურადლებს აქვედენ წარმოდგენების გარეკან მოწ-
 ეობილებს. სცილობდენ უფრო თვალის მოხილვას,
 ვიდრე განიების; კვისარმა აკო უსარმაზარი,
 ბრწინად და მშენიერ ცირკი (იტოვდა 150
 ათას კაცს); ზომეუსმა ააშენა ქვის თეატრი მდი-
 რულად და ბრწინადლევე მორთული. — მისიკას
 და ტემპის დადი ადგილი ჰქონდა დათმობილი. კარკს
 მირევევუ ქალს დადს ჯამაგის აძლევენ (25
 ათას მს.-დე წელში). დადძლს ფულს ჰსრავდენ
 დეკორაციებისა და ტანისმოსისათვის. სმდიოდ
 დრამატულ ხელოვნების მკეორ ფერას გამოვდა,
 მწერლის ადგილი მემსქსემ დაიკავა“. (თხ. რომის
 ისტორია, კირი და გეუსი, თარ. ვლ. ლორთქიფა-
 ნიძის).

ამ გვარი მიმართულებს მიადო დრამატულმს
 ხელოვნებამ, ასე დაქვეითდა დრამატული ზოგჯერს.
 ეს-კი მოახდინა მიმსაქვლობითმ სსსათმ მწერ-
 ლობაში; არავითარი სმერწკალი ორიგინლობისა,
 ძლიან მირეუ სურვლი სკეუთარის სხლის დრამის
 შექმნის!

და სდაც მოლოდ მიმსაქვლობით, სიუჟეტ-
 ბის კადმოკეთებით და კადმოტხით ჰსურთ სმმო-
 ბლო მწერლობის აუკავება, იქ მეტი ხიანი მოაქვთ
 ამგვარ ვაჰატრებს, ვიდრე სრგებლობა. ასე დაე-
 მართა რომელიც დრამაც.

ქრისტეს დაბადების შემდეგ ზირგელ სუკუნეში დრამის მწერალი იყო თილოსთეოსის სენეკა; მაგრამ ისიც იმავე სენით იყო შეპყრობილი, როგორც ითავ სხვაში. სიუჟეტები ადრეული აქვს პერსეთა მწერლობადან, ფარმაც ისევე შთაბერია.

ზანც დირს-შესნისწავი მწერალი ტრაგედიების სენეკას, მხოლოდ კომედიების, როგორც ზემოთაც ვსთქვიით—ჰლაგტუსი და ტერენციუსი.

ამ სამ მწერლის შესახებ ცალკე შემდეგში ვთქვათ.

ნარკილი

ქართული თეატრი

„სამეგრელოს მთავარი ლევანი“

ისტარ. დრამა ვ. რ. ეიფიანის. 30—31 ინვარი.

ვერ იქმნა და ვერ ველირსეთ ხერია ორიგინალურს პიესას. ვასილ ყიფიანის დრამაც, რომელზედაც ბევრი ქება გვესმოდა, ერთობ გრძელი და შეუმუშავებელი გამოდგა. ეტყობა, ავტორს მიზნად დაუსახავს ყველა იმ მასალის მხატვრულად შემუშავება, რომელიც სამეგრელოს მთავარ ლევანს მფეობის შესახებ მოგვეპოვება, მაგრამ სიძნელე ამ რთულ საქმისა ვერ დაუძლეოა.

პიესაში ჩვენ ვერ ვხედავთ მთლიან, დამთავრებულს სურათს მაშინდელ ისტორიულ ცხოვრებისა და საზოგადოდ თელსაჩინო ნაქს პიესისას შეადგენს ის, რომ მასში სრულიად არ სჩანს, თუ მფევის სასახლის გარეუბრე სადმე ოდნავ მაინც სცემდა ძარღვი საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

თავსა და ბოლოს მთელის პიესისას შეადგენს ორი პირი—დარეჯანი და ლევანი, რომლებიც პიესაში ვერ აჩიან სავსებით დახასიათებულნი.

დარეჯანი გულ-ქვე, დაუნდობელია. მასამ ქვეყნად მხოლოდ ორი რამ სწყურია: მთავარის ლევანის გულის დაპატრონება და მისის მფეურის დიდების გაზიარება. ის არ ერიდება არავითარ საშუალებას, არავითარ მსხვერპლს, ოღონდ რ თავისი პატივ-მოყვარე და გერავი ბუნება სავსებით დაკმაყოფილოს.

ლევანი არ არის ბოროტი. ბუნებით—ვი იგი ბატონია, სრული მფევა, განუსაზღვრელი მბრძანებელია, ხოლო სუსტია ნებითა და ხასიათით. წუთიერ გავლენის ქვეშ მას, სრულს ცმას და მონას თავის გრძობისას, შემოქლიან ჩაილინის უარსობი ბოროტ-მოქმედება ისე, რომ წარბივ არ შეხიაროს.

სამწუხაროდ, ეს უმთავრესი თვისებანი ამ პირებისა პიესაში არ არის სისტემატიურად განვითარებული და დატული. უკანასკნელ მოქმედებაში საქციელი მათი პირდაპირ ეწინააღმდეგება მათს ხასიათს და აი როგორ:

დარეჯანი სასურველს მიზანს აღწევს. იგი პირისპირ უტყპრის იმ ბედნიერებას, რომელიც მრავალი სისხლის დაღვრით მოიპოვა. შემოლება აქვს სრულის

თავდავიწყებით დაეწაფოს მას და სვას ნაკადული უაღრეს ნეტარებისა იმ დრომდე, ვიდრე ის არ აღმდგრევე, აღიღდება და არ ლახარჩობს დარეჯანს მისი ავი გულისთქმითა და ანგარებითა. რას შვრება დარეჯანი? იგი უარყოფს კარგზე მომდგარბედნიერებას და მონასტერში ოლდების მონანიებაზე ფიქრობს. განს ეს შეეფევაბება მისს ხასიათს? მისგან ჩადენილი მრავალი ბოროტმოქმედება ამ ბედნიერების მისაღწევად ბავშვური შეტდობა როდი იყო; ყოველი ნაბიჯი მას გამოწონილი ჰქონდა, ყოველთვის იცოდა, რას და რისთვის აკეთებდა... იგი მულამ უდიდესი ავაზაკი და ბოროტმოქმედი იყო და ბოლომდე კიდევ უნდა დარჩენილიყო სრული ერთგული და მორჩილი თავისს ვერავის ბუნებისა...

ლევანი თავმოყვარე და განუსაზღვრელი ბატონია, ხოლო, როგორც ზევით ვსთქვიით, ბოროტი არ არის. დარეჯანი დაეპატრონა მისს გულს და მანაც წუთიერი ნებით აღძრულმა წარბ-შეუხრებლად ჩაილინა მრავალი ბოროტმოქმედება. სიყვარულით დაბრმავებულს ეგონა, რომ ყოველი მისი ნაბიჯი სწორი და სამართლიანი იყო. ბოლოს გაიგო დარეჯანის სიყალბე, თვალთმაქცობა, რასაც მსწრაფლ უნდა გამოეფხიზლებინა იგი და დაეგმო მიზნი მისგან ჩადენილ მრავალ ბოროტმოქმედებათა. ამის მაგერი იგი მაინც ერთგული რჩება დარეჯანის სიყვარულისა და ეს გრძნობა თითქოს უფრო მეტადაც უდიდებდა.

დანარჩენი მოქმედი პირნი სრულიად შეუმუშავებელნი არიან და უფრო აზრდილებს წაავანან, ვიდრე ცოცხალს ადამიანებს.

სცენიური ტენიკა პიესისა თუმცა კოკლობს, მაგრამ პიესა მაინც კარგი მოსასმენია, მით უფრო, რომ მშვენიერის ქართულის ენით არის დაწერილი.

შემსრულებელთაგან კარგი იყო მხოლოდ ვლ. მესხი-შვილი (ლევან). ნინო ჩხეიძემ ვერ დაგვიხატა ცბიერი და დაუნდობელი დარეჯანი. მისს გაპროცენებაში ბევრი სინახე და კეთილშობილება შეიტანა.

სიამოვნებით უნდა აღენიშნოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ტყუილად არ დაუხარჯავს დიდი ფული დეკორაციებსა და ტანისამოსზე, რადგან ყოველ მოქმედებაში, როგორც დეკორაცია, აგრედმე ტანისამოსი სრული შესაფერისი იყო. ამას გარდა ახლად შექმნილი ნივთები დილხანს დარჩება ქართულ თეატრის ძვირფას განადა.

Ro-Ben

სათეატრო ამბები

ე. კარ—სიომხურად გადათარგმნა ტრ. რამაშვილის პიესა „**უქიმი აშირბაჯანი**“ და აჩიანის „**ვიკალმისაგანი**“ იმავე მთარგმნელს სიომხურიდან ქართულად სთარგმნა შარვანსჯაკს „**ნამუსისათვის**“ და ფეფაჩიანის „**კლდე**“.

◆ ს. გლახაშვილს დაუწერია ახალი პიესა „**ცხოვრების დალი**“, რომელიც უკვე ნებადართულია და ქუთაისის სცენასზე წარმოადგენს.



საზოგადო მოღვაწე და „ჯეჯილი“-ს რედაქტორი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა

დედის პრეტა

ჟოჯო: 1 მოქ. ვ. გუნიასი (აზრი აღებულა)
(გაგრელება, იხ. „თ. და ც“ № 6)

III

იგოპე, რიფსიმე

რიფ. (დინახავს შვილს) ვუი, დამიდგეს თვალები. ამას ვისა ვებდამ! აი, შე ფეხ-მოსატეხო! შენ აქა გღიხარ და მე-კი მთელი სოფელი შემოვირბინე შენს ძებნაში! რას აკეთებ აქ, შე შევ დღეს დაბადებულა, ამდენი ხანი სად გღიხარ?!

იოთ. (ანიშნებს) სუს, სუს, სუს, ნუ ყვირი, დედა-ჩემო!

რიფ. როგორ თუ ნუ ყვირი, დაიყვირებ კიდევ და თვალსაც მოგთხრი! რას აკეთებ აქა, შე გასაწყეტო, ძალივით ყველგან დაეთრევი, დავწანწალებ, შე სასიკვდილე,

შენა... აღარ იცი შე გამოტყინებულა, რომ სონას მამულის გარდა, ოთხასი თუმანი ქრთამი აქვს?..

იოთ. (მღერათ)

„თუ ცოლს მოჰყვა ბევრი ფული,
გაიხარებს ჩემი გული“.

დედი, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე!

რიფ. აი, სიკვდილმა კი არ დაგანებოს შენ თავი!

იოთ. დედა-ჩემო, შენ არ აცი, საქმე როგორც არის!

რიფ. მაშ შენ იცი, შენმა თავის გახეთქამ! შე ურცხვო, საცაა საქმელი არ გვექნება... ჩასაცემელი ხომ, რა ხანია, არა გვაქვს! ეს წაღები ხომ ძლივს-ძლივობით გიყიდე... ის რაღაც ორ გროშიანი პენცია რომ გვექცევა, შენ სახეთქელადაც არ გვეყოფნის, ეს ჩოხა-ახალუხი რომ შემოგაცვდა, ტიტლიკანა ხომ არ ივლი, შე რეგვენო, შენა!?

იოთ. რა არის, დედაჩემო, მუდამ დღე სულ მონადღამ და მონადღამ! აგერ დავაქცადი და შენ სულ პაწია ბავშვი გგონივარ და აღარ მეშვები!.. არც აგრე იქნება.

რიფ. განა არა, ღირსიცა ვარ, რომ მიმბრუნედ და მცემო კიდევაც... სულ ჩემი ბრალია (იფრქვება), დედის ერთა იყავი და მე გაგაფუქე, — აი, გაგაფუქოს ღმერთმა!..

იოთ. (უფრო ფართაფურთხის) რა დაგემართა, რომ მთელი კვირა ამ უცხვირო ჩექმებს მაყვედრი. განა ეს წაღებია! ახლა ჩექმები წვეტიანები უნდა იყოს, რომ წამოპკრა ვისმეს, მუცელში ხანჯალივით შეერტოს, შენ-კი დაგიყინია — ჩექმები და ჩექმებიო!

რიფ. შე უღმერთო, რაც მქონდა, სულ გამომცინტე. ფიქრობდი, ჯვარს გადაიწერს და იქნება წელში გავიმართო შეთქი... ის-კი არა და შენ წვეტიან ჩექმებზე წავსვლია ფიქრები! ოცდა-ორი წლისა ხარ — გაგიწერეს ოცდაორი სახარება... რა მოკვდე, დასამარხი არა მახადია-რა!.. თუ ჩემს ქუთახედ არ ივლი, გამეცალე, თვალთ არ დამენახეო!..

იოთ. გინდა, სულ ნუ შემომიშვებ სახლში... მე ახლა შენი არა მინდა-რა! შე, დედაჩემო, ჯერ თბილისში მივდივარ, მერე ბათუმში, იქიდან ოდესაში, მერე მოსკოვში, იქიდან პეტერბურგში, მერე პარიზში და ვიფელის კოშკიდან წერილს გამოგიგზავნი.

რიფ. (გაფრთხილებით) შეილო, იოთამ, შენ ავად ხომ არა ხარ? (აღესიათ) შეილო, რაებს ამბობ, მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ, გენაცვალოს დედა შენი!

იოთ. აგრე არა სჯობია, შე დალოცვილო, ჩხუბსა და ლანძღვას. იცი, დედაჩემო, ისეთი ახალი ამბავი ვითხრა, რომ მგონი სიხარულით ამ სიბერის დროს სიცხე პაპანაქებაში ლეკური ჩამოუარო! აჰა?! მე ცოლს ვირთამ!

რიფ. (სასიამოვნებთ) ცოლს ირთავ? ვისა, ვისა, შეილო?

იოთ. აი, ამას... (უჩქვნივს კოსისკენ) თავლოს!..

რიფ. თავლოს. ვუი, თქვენი ქირიმეთ, რა გამახარე, შეილო, ღმერთმა გაგახაროს, შეილო! იცი, რომ თავლოსათასი თუმანი ქრთამი აქვს და მამულიც...

იოთ. (შედიფურად) ფულირა არის, დედაჩემო, ფული ხელის ქუქყია! შენ სიყვარული სთქვი, სიყვარული! ახლა რას იტყვი, დედა ჩემო?

რიფ. შენს პირს შეპარი, შეილო! მაგრამ ფულზედ უარს ნუ ამბობ. ფულია, შეილო, პირველი საქმე. ცხონებულ მამაშენს გვარიშვილობის მაგიერ ფული რომ დაეტოვებინა — ემჯობინებოდა.

იოთ. არა, დედი, შენ ისასთქვი, ჩემი არ ჩეული როგორია, ჰა?

რიფ. (გადასწყევს) ღმერთმა გაგაბენდინეროს, შეილო! მერე თავლო კი თანახმაა?

იოთ. მოდი და ნუ გახდებთ თანახმა, როცა ცეცხლი წავუკიდე, დავწე და დავხრუკედლებსე უნდა ვითხოვო.

რიფ. რომ უარი გითხრას? განა პირველი მაგალითია, შეილო! ბარემ ათჯერ მაინც გითხრეს უარი საცოლოებმა. მოგიკვდეს დედა!

იოთ. არა, დედიჯან, ახლა უარს ვერ მეტყვიან... ახლა საქმე მკვიდრად არის...

რიფ. მერე რითი მოაწონე თავი აგრე ძლიერ?

იოთ. რითა? ვაჰმე! რაები არ ვეცადე! ჯერ ოხვრას, მერე თვალების პრუწვას და მერე ლექსები რომ მივაყარე ჯორის ტლინკებისავით, აქ კი ვედარ გასძლო და გაგიჟდა ნამდვილად!..

რიფ. უჰი, შენ-კი შემოგველოს ჩემი თავი... შეილო იოთამ, იცი რას გეტყვი: სიფრთხილეს თავი არა სტეცია... მოდი ნურც სონას დაანებებთ თვსა... თუ აქ არ გასჭრა, იქ მაინც არ დაკარგო... ის ქალიც კარგია, ჩუმი და კეთილი, ქრთამიც კარგი აქვს.

იოთ. მაშ რა გინდა, დედაჩემო. გინდა ორივე ვითხოვო! შენ გეუბნები, ფიქრი ნუ გაქვს... საქმე ისე მაქვს გაჩარხული, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე ხელიდან ვერ წამიფე, განსაკუთრებით ათას თუმნიანი! თვითონვე მოვიდა, და ისე ჩამპროშტა, აი, ამ ადვილას, რომ...

რიფ. არ მატყუილებ?

იოთ. მეც არ მოგიკვდე და შენც არ მომიკვდე! დედა, თუ გიყვარდე, ცოტაოდენა ფული მომეცი!

რიფ. მერე ფული რადად გინდა, შეილო?

იოთ. კაცნი ვართ, იქნება როგორ არის

საქმე... შე დალოცვილო, სასიძო კაცი ხომ უგროშოთ არ ვიქნებო... პაპიროსები მინდა, სხვა მინდა.

რიცხ. მერე საიდან მოგვცე შვილო, სადა მაქვს?

იოთ. გექნება დედი, შენ ჰყვინი დედა-კაცი ხარ! აი ჯიბეში გექნება, იცოდე თუმანზე ნაკლებ არ იქნება... მოსამსახურეა—გოგო — ბიჭები... ვინ იცის, რა დამპირდება. ესეც არ იცოს, ფულს რო დაინახავენ ჩემს ქისაში, მაშინ სულ სხვა შახი მექნება, მაშ?!..

რიცხ. არა, შვილო, თუმანს კი ვერ მოგცემ და ხუთ მანეთს-კი გიშოვნის!

იოთ. ეჰ, დედა ჩემო, დედა ჩემო! გაიგე რომ საქმე მორჩომილია.

რიცხ. იჰ, შვილო, როგორც ახლა, მაშინაც ამბობდი, საქმე მორჩომილია და მერე რამდენი თუმანი გამომიცნო და ბოლოს ბარემ ათს ადგილას უარი გითხრეს. იცოდე, იოთამ, ამის მეტი გახვრეტილი გროშიც არა მაქვს.

იოთ. რაც იყო—იყო, დედაჩემო, ახლა სულ სხვა იქნება!

რიცხ. აჰა, შვილო, ღმერთმა ბარაქა გაჩვენოს! (აქლავს ფულს)

იოთ. მოიტა ის წვრილიც, მოიტა! ის წვრილები უფრო გამომაღებეს! (ანთიქს თეთრს ფულს) დედიჯან, ახლა შენ სახლში აბრძანდი, შენი კარგი კაბა ჩაიცვი და აქეთვე გამოსწი დაუყონებლივ!

რიცხ. ვაი თუ, შვილო, საქმე საქმეზედ არ მოვიდეს, მეც არ დაუბატონებარ და...

იოთ. რა საჭიროა, დაბატონება! ჩემი დედა ხარ თუ არა? ვისაც მე ვუყვარვარ, შენც უნდა უყვარდე, მაშ?!.. ესეც არ იცოს, ისე შემოდი, თითქოს უცაბედად...

რიცხ. უი, შენ-კი შემოგველოს დედაშენი, რო მაგეთი მოხერხებული მყევხარ, შვილო! მითომ ისე შემთხვევით გამოვიარე და მერე მოვიბოდიშებ...

იოთ. აგრე, დედა ჩემო! აბა შენ იცი, რა ყოჩაღად მოიქცევი და მოირთვები. ენეინა ხარ, მაგათთან ტყუილ-უბრალო აზნაურიშვილი ხომ არა ხარ... წადი, წადი, მოირთე, დედა-ჩემო!

რიცხ. (აღესთით) კარგი, მიედივარ! (შირ-ჟვარს გადასხამს) ღმერთმა გამარჯვებული გატაროს! (გადის სსქარდად)

იოთ. (ფულს გადასხამს) ეჰე, ერთი მალე გათავდეს ეს ჩემი საქმე, ერთი ჩემი ვებარ-შვილობის შესაფერი ქამარ-ხანჯალი, ხმალი და ლეკური შევუკვეთო, თორემ ასე რას ვგვევარ? ათ-ათი ხელი ტანისამოსი უნდა შევაკვრიო... კარგი შინელი — ერთი საზაფხულო, ერთი საზამთრო შევუვებინა! მართლა, ქულოჯაც კარგი იქნება! ვაჰ, წადემა?! პირველი საქმე წადემა! ახლა რაღაც ვეგებრთელა ქულები შემოიღეს! ეჰ, რამდენი რამ არის საჭირო! მერე თბილისში ერთს ვიქიფებ, ერთს ვიქიფებ, რომ ყველა გავაფასო! უჰ, თქვენი ქირიმეთ, ფულებო თქვენი?! (შორადან მოასმის ათფლას სამღერა. იოთამ სსქარდად ფულს ჯაბუშა აწკაბს წვრილი ფული კანკა. შეშოდას ათფლა.)

IV

გაგე, თაფლო

თაფ. (სიცხადით და სიმღერით შეშოდას) გაცი-მარჯვე, გაციმარჯვე, — არც თანხმდება და არც უარს ამბობს: ჯერ ნუ აჩქარდები, ჩვენსა იაროს და ენახოთო! ენაზო იოთამ, აბა ჩემს პირდაპირ დაჯექით! ახლა ნებას გაძლევთ, ხელი მთხოვო; რაღას გაჩემდი, ყმაწვილო!

იოთ. (მიწაზე დაქაქს დაწვეულ ფულს. თავის-თვის) ორი აბაზი მაკლია!

თაფ. რას ბუტბუტებ?

იოთ. მეე... მე არაფერს... ისე... (კაღვე დაქაქს)

თაფ. რა დაგემართა, ყმაწვილო, დამუნჯდი, თუ რა არის?

იოთ. უკაცრავად, ახლავე... მე არ შემოდლიან! (დაქაქს ფულს)

თაფ. ოჰო, შეგეშინდა!

იოთ. (უგებ აბაზის, შეუქმსეკვლად დახარება და აბაზის) კიდევ ერთი აბაზი მაკლია! (ჩამო-ჭაღება)

თაფ. მაშ უარს მეუბნები! მაშ არ გინდა შემირთო?

იოთ. (შოხდად ახლავს მისვლას) თაფლო, ჩემო ძვირფასო, — იმ ოხერმა აბაზიანმა დავ-თრები დამიფანტა.

თაფ. (არ ესმის) რის აბაზიანი? რას ამბობ!

დღეს სადილად ჩვენსა იქნები. როცა მამაჩემი გაზიარულდება, მაშინ შენ იცი... მაშ მე ახლა კნინა ვავხდები, კნიაზი ოთამის მეუღლე! უპ რა უხერხული სიტყვაა იოთამი?

იოთ. (თავ მომწონედ) მაგას რათ ბრძანებთ! იოთამს მაგრე კი ნუ ეხუმრებით. ეს სახელი განთქმული სახელია. ერთხელ, ამ ორი წლის წინად, დედა-ჩემმა, რომ თბილისში ჩამიყვანა, სხვათა შორის, თავდა-აზნაურების თეატრში წავედი. რუსული წარმოდგენა იყო სიმღერებით... დედა-ჩემი კინალამ გაგიჟა... სცენაზე სულ იოთამს გაიძახოდნენ. შვილო, შენ ხომ არ გეძახიანო, მეკითხებოდა დედა! მაშ, დედა-ჩემო, ალბად მიცნეს მეთქი!

თავ. იპ, რას ლაპარაკობ, ეგ რა დასაჯებელია!

იოთ. მამა არ წამიწყდება და დედა არ მომიკედს, მართალს გუბუნებით. აი, თუ გნებავთ ახლავე გიმღერო: „М СНДІИІ ІУТАМЪ, М СНДІИІ, СНДІИІ ІУТАМЪ“ მაშ!

თავ. მართლა, ეგრე სნდინი-ცა სთქვეს?!...

იოთ. მაშ!

თავ. საოცარია, როგორ უცნისხართ?

იოთ. მეც ეგ არ მიკვირს!

თავ. მაშ არ დაივიწყეთ, როცა მამა ჩემი გაზიარულდება, მაშინათვე მოელაპარაკეთ. აბა, წავიდეთ, სუფრა ორივემ ვავშალოთ! (უგზად შეკრება) იოთამ, ყველა ეს კარგი, მაგრამ მამა რომ არ დათანხმდეს და...

იოთ. შენ მე ღვინო გადამახუბე და, თუ კაცია, ნუ დათანხმდება! (ბრაუნია შედან ღერე-ფანში. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ზამბურაკი და სინა)

†

ზამბურაკი, სონა

ნოდ. (აღღებულად. ქუდი ხელში უჭირავს და ცხვირ-სახოცით თფლს აწმენდს) ვერ უყურებთ იმ ლაწირაკს! თურმე გვაბრიყვებდა, აი თურმე რისთვის დაეთრიოდა ჩვენსა დღე და ღამ!

სონა. მამავ!

ნოდ. ჩუმად! მე მეგონა, როგორც კარგ ნაცნობს ვღებულობ მეთქი! ყოველ დღე სადილ-ვახშამი, პაპიროსები, ფულსაც კი ვაძლევდი იმ ურცხვს, იმას! და ხელამრა ჰქონია გულში?! მატყუებდა განა?

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად! ხმა, კრინტი მეთქი!

სონა. მამავ, იოთამმა შემომფიცა, ... სიტყვა მომიცა...

ნოდ. რაო, როგორ თუ სიტყვა მოგცა! მერე რა უფლებით, რომელი კანონის ძალით გაბედა უჩემოთ შენთან საქმის, დაქერა და სიტყვის მოცემა?!...

სონა. მამილო, იოთამს მე ვუყვარვარ!..

ნოდ. ჩუმად! მერე რა უფლებით, რომელი მუხლის ძალით გაბედა და უჩემოდ შეგეყვარა?! ჯერ ჩემი თანხმობა უნდა ყოფილიყო...

სონა მამილო, შენ ხომ წინააღმდეგი არ იქმნები!

ნოდ. ჩუმად -- მეთქი, ჯერ ჩემთვის უნდა ეკითხა! მე... მე უცხო ხომ არა ვარ! დამაცა, მე იმას ისეთ სიყვარულს გამოვეუცხადებ, რომ თავის სიცოცხლეში არ დააფიცდეს!... ბიჭოს! მე ასე კი ნუ მეხუმრება... მე ქიხიკელი ვარ, თუ ერთხელ ვსთქვი -- მორჩა, გაათავდა!

სონა. მამილო, აქ უცხო ეზოში რა გვიინდა, იქნება არ-კვი არის...

ნოდ. ჩუმად! ხმა-კრინტი მეთქი! მე ვერაიენ გამაცურებს; არა, არა მე ასე ადვილად არ შევარჩენ. თუ შენი შერთვა უნდა, ბარემ ეთქვა ჩემთვის და შეგერთამდე, თორემ ის იქნება ახლა აქაც ისე იკატუნებს თავს, აქაც იქნება დაფორებს უზნევეს საბრალო ქალს... აქაც რამეს დასტყუებს! არა, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ იმ საძაველს არ შევხვდები! (იოთამის და თავფლას ხმა მოისმის) აი, სწორედ ის არის, ისა! განა მე ვინმე გამაცურებს!...

სონა. მამილო...

ნოდ. ჩუმად! აქედ მოდექი! (ბრაუნია განსეკაწვევს. შემოდის იოთამი. ისმის თავფლას ხმა: „იოთამ, თქვენ კიტრება მოსწვევიატუ და მე ღვინოს ამოვარბიეს!“)

V I

ივინივე, იოთამი

იოთ. (ღერეფანში გამოჩნდება. თავ-მომწონედ აზობს) აი, საქმეც ამას ქვიან! სადილზე თუ ორიოდ ხელადა გადავბრუნე, მერე ყველაფერი ფხვებზე მკილია. წამოდგები და თამამად ვეტყვი ჩემს სასიამოროს: ბატონო, სიმამრო, გთხოვთ, მომახოვოთ თქვენი ქალი!

ნოდ. (გაბრაზებული) რაო, რაო?! აბა ხმა მალლა სთქვი, რაც წელიწადი წამოაყრანტალი!

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად!.. აბა ბრძანეთ...

იოთ. (სრულებით გაჩნება -- დახეული) რა!..

ნოდ. ეს რა მიგიქარავს შენა! აქ რა გინდა, რისთვის მობძანებულხარ აქა?

იოთ. მოგახსენებთ...

ნოდ. ჩუმად! რისთვის მობძანებულხარ?!.. ვის უნდა სთხოვო ხელი?! ჰა?

იოთ. (გაბეჯით) რას ყვირით, ბატონო, ნოდარ!

ნოდ. ჩუმად, ხმა-კრინტი—მეთქი! ვიყვირებ კი არა, ნოდარას დაუეკრავ, რომ მთელ ქვეყანას ვაუწყო, თუ რა წითელი კოჭი ბრძანდები და ვინა ხარ!..

სონა მამილო!

ნოდ. ჩუმად! ხმა-კრინტი მეთქი!

იოთამ. (თავისთვის) ახ, ნეტავი ახლა მთვრალი ვიყო, მე შენ გაჩვენებდი სერის! (მძლავრად) რა გნებავთ, ბატონო...

ნოდ. როგორ თუ რა მნებავს? აქაო და თავადიშვილი ვარო, განა ყველაფერს მოგიტეებენ!

იოთ. (შეშინებული) რა იყო ისეთი!..

ნოდ. ნეტა როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ მე—ნოდარ ზამბურაკი—შენ, ლაწირაკსა ქალს მოგცემდი? რა ხარ შენ? რა კაცი ხარ? არა, რა უფლებით, რა კანონის ძალით გაბედე, რომ ჩემს ქალს ჩემ დაუეითხავად სიყვარული გამოუტყავდე!

იოთ. (გუდარებით ახაშებს) ღვთის გულისთვის ნუ ყვირით! (თავისთვის) ახ, ნეტა მთვრალი ვიყო!... (სრულებით ახაშებს კვლავ, ნუ ყვირითო)

სონა. მამილო!..

ნოდ. ჩუმად მეთქი! შე ლაწირაკო შენა! აქამდის ჩვენ გვატყუე, ახლა ესენი უნდა მოატყუო?

იოთ. ბატონო, თქვენი ქალისთვის ხელი არ მიხლია! აი, თუნდა სონას ჰკითხეთ!

სონა. მამილო!

ნოდ. (ბრაზ-მორყული) ჩუმად თქვე არამზადებო! სიცოცხლეს-კი შეგარჩენდი, ხელი რომ გეხლო! შინ რომ გიშვებდი—იმიტომ-კი არა, რომ სიძელ მინდოდი... (ბრაზიანად) არა, როგორ გაბედა, რომ... რატომ ხმას არ იღებ!

(დერეფანში გამჩნდებათ **თაფლო** და **ქაიხოსრო**) მთელი დღე აქედ-იქით დაყალიბე და სულ ქალებს აბრეყებ; ყველას სასიძოდ უჩნდები... არა, როგორ გაბედე-მეთქი, როგორ?!

იოთ. ღვთის გულისთვის! (თავისთვის) აჰ, ნეტა მთვრალი ვიყო!

ნოდ. ნეტა ვიცოდე, რა ნახეს შენში ამ სულელებმა!..

სონა მამილო!

ნოდ. ჩუმად! (იფთაში) სად არის ის ბექელი, რომელიც ჩემს ქალს დასტყუე?! ახლავე, ამ წუთშივე დამიბრუნე უკანვე ბექელი!

იოთ. (სრულებით სსო-წარკვეთილი) ღმერთო, ეს რა დღე გამოიქნა! სონა!... ბატონო ნოდარ!...

ნოდ. ჩუმად! ბექელი-მეთქი, ბექელი, მაღლე ბექელი!.. (ამდროს გამოფიქს სტენაზე თაფლო და ქაიხოსრო)

VII

ივანივე, თაფლო ქაიხოსრო

ნოდ. (თავს უკრავს შემოსულებს) უკაცრავად, მაპატიეთ, რომ თქვენს ეზოში ვყვირი, მაგრამ რა ვქნა (იფთაშვილ აჩვენებს), რომ ამ ვაჟ-ბატონმა გამაბოროტა, ლამის კაცი შემომაკვდეს... ჰა, შე კულ-ამოძებულო, შენა! რა უყავი ბექელი! შენ გეგონა, აქაო და კნიაზი ვარო, ყველას დაიბრეყებდი?

თაფ. კნიაზო, იოთამ, რატომ ხმას არ იღებ?

იოთ. მე... მე... არ მესმის... პირველად მესმის!..

თაფ. მაშ სხვის ბექელი იყო ისა?

იოთ. (გაბრუნებული) მე... მე... არა... სხვისი კი არა, ჰო... დიახ... დიახ... სხვისი იყო!

ნოდ. აი, ის ბექელი (თაფლოს) აი, თქვენ ხელზეა. ჩემი სულელი ქალისათვის დაუტყუენია, ვითომ რა არის, დანიშნულები ვართო... ჰმ, არამზადები.

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად!

ქაიხ. (გულ-ტკბადად) ეგ კი ვერაფერია... სხვისი ბექელი! თაფლო, მიეცი შვილო, ახლავე დაუბრუნე!

თაფ. უკაცრავად, მე არ ვიცოდი. იოთამ-მა მითხრა, რომ ეს ბექელი დიდდისაგან დამჩაო.

ნოდ. კარგი დიდება ჰყოლია, თქვენმა მზემ!

თაფ. (ძირბას ბუკუს) მადლობას მოვახსენებთ, კნიაზო, ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს სხვისი ბუკედი ვატაროთ. (ასღვეს იოთამს ბუკუს, რაშიაღვ უნებურად ხელზე აკეპაოს)

ნოდ. (სწრაფად გამოჰგლეჯს ბუკუს) ბიჭოს! ხელზედაც რომ იკეთებს! აი, შე სალახანა შენა! აი, ბატონო, როგორ გვიბრძვივებენ ამისთანა ლაწირაკები!.. დედის ერთა ვარო!.. ოღონდაც, რომ დედის ერთა ხარ და შენისთანა მეორე ძნელია... უკაცრავად ბატონო... წავიდეთ, შე სულელო!

სონა. მაილო!

ნოდ. ჩუმად! (გადაას)

ქიხ. (სისუჟის შემდეგ) წავიდეთ, შვილო! პირველი შემთხვევისათვის გვეყოფა ეს გაკვეთილი, წავიდეთ! (იოთამს) თქვენ-კი, უკაცრავად არ გახლდეთ, დღეის შემდეგ ჩვენ საერთო არა გვაქს-რა. მშვიდობით! წავიდეთ, შვილო (გაუღეხ).

იოთ. (მარტო. სისუჟეა შერე შთავსადებს სუჟეაფფერი და სრულად მოაშუებს) რა იყო ესა? სისმარში ვარ, თუ რა ამბავია! (თაფაუბზე ხელს მოასვენებს) მგონი ცხადლო იყო! საქმრო ვიყავი, ათი ათასი მანეთი ხელში მქონდა ახლა-კი ყველაფერი გაქრა... აი, შენი პარიყი! პარიყი კი არა, გურჯანშიაც აღარ დამედგომება. (შეშისუბუდი) ღმერთო! დედა-ჩემს რა პასუხი გავცე?! ნეტა წყალი იყოს სადმე, რომ თავი დაეხრჩო! (შეშადის რაფსაზე კახტად ჩაქმუდა, ახლაი პაღდათი და ქიფგით)

VIII.

იგოეე, რიფსიმე

რიფ. უპ! დავიღალე! ძლივს ამოველ ამ აღმართზე... აი, შვილო, ცხვირ-სახოცი წამოვიღე, თორემ ამ სიცივე-პაანაქებაში შესწუხდებოდი. (ასღვეს, იოთამი უნებურად აწამეეს) შვილო, ხომ კარგადა ვარ ჩაცმული, ხომ არ შევარცხვენ შენ საცოლე სიმამრთან?! რას გაჩუმიებულხარ?!

იოთ. (თათქას სისმარში) კარგადა ხარ, დედილო, კარგად!

რიფ. სიყვარული გამოუცხადე, შვილო!?

იოთ. როგორ არა, გამოვუცხადე სუყველად ვერი!..

რიფ. მერე მიიღო, შვილო?

იოთ. მიიღო, დედილო, სიხარულით მიიღო! აი თავლო აქ იყო და... მე აქედ ვიდექი. თეთონი მითხრა... უარს ხომ არ იტყვი ჩემზედა! (იტრემულებს)

რიფ. (ქიხეკა და ჰკატნას) ჩემო იმელო, ჩემო შევარდენო! ქორწილი როდისღა დანიშნეთ?

იოთ. ქორწილი? (სიხუჟე) ქორწილი, დედავ, აღარ იქნება?

რიფ. რაო? როგორაო?

იოთ. დედი, მგონი, აქაც არა გამოდნება-რა!...

რიფ. რას ამბობ, ხომ არ გადაირიე?!..

იოთ. ყველასფერი გაჩარხული იყო, დედი... სადილათაც დამპატყეს... მე და თავლო ერთად სუფრასა ვსილიდით... ერთი სიტყვით, ორჯერაც ჩავბრომტე. ამ დროს საიღამაც გამოტყვრა ი კოქლი ნოდარ ზამბურაქი და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, მომდგა, მაგრამ რა მომდგა! მლანძღა, მაგრამ რა მლანძღა! მთელი ალაზანი ველარ გამრეტხავს... ბუქედი გამოძართო და თავი კინაღამ გამიჩხება... მერე ქიხოსრომაც ძლიერ ზრდილობიანად გზა დამილოცა!..

რიფ. (სკამზე დაქეკს შეწუხუდა) ვუი, ვუი, ვუი, ეს რა მესმის!.. რა მესმის!..

იოთ. (ურხად დაამჟიდას და აკოტას დედას) დედილოჯან, ჩემი ბრალი არ არის, შენს მზესა ვფიცავ!..

რიფ. (ერთსაშად წამოჯანდება) როგორ გაბედე, შე იუდის კერძო შენა! როგორ მომპატყულიე, შე ჯოჯოხეთის ნასხლეტო შენა!..

იოთ. დედილო...

რიფ. (გაფთრებუდა) არ მომეკარო, თორემ ამ ქოლგას თავზე გადავამტვრევი!

იოთ. დამკარ, დედიჯან! დამკარ!

რიფ. (ერთსაშად) ახლავე ჩემქები ვიხანდე! ახლავე-მეთქო.

იოთ. დედიჯან, აბა რას ვეგვანები, უჩექმოთ... სადაური სასიძო ვიქნები ფეხ-შიშველო?

რიფ. შაპ, შე დასამიწებელო, შენა! შე ურცხვო, შე ყაჩაღო, შე ჩემო სულთა მხუთაო, შენ მამის საფლავის შემარცხვენელო!

იოთ. დედიჯან! განა დედის ერთას ასე მოექცევიან!

რიფ. ხმა, ხმა, ხმა ჩიქმინდე! ახლა რა გიყო?! სად წავიყვანო?! რომელ მხარეს გათ-

რომ? რა გიყო, შე ყოვლად რეგვენო და ჩემო დამღუბველო! მეტი რაღა დამჩა საქართველოში, რომ შემემლოს კიდევ თვალის გახელა! ვუი, ჩემ შავ ღღესა, ვუი ჩემს მოსწრებას!.. (ტარის) ვუი, ვუი...

იოთ. (ტარის) დედაჯან, დედა!

ჩიფ. (ერთაშაღ) ჩექმები—მეთქი მალე, ახლავე გაიხადე ჩექმები, შე ავაზაკო! ახლავე, ახლავე.

იოთ. (უნებურად ხსდის ჩექმებს)

ჩიფ (ტირილით) გადავაკვი, გადავაკვი, ვასწავლე—არ ისწავლა, გამოავდეს, სამსახურში შევიყვანე—არ ისაქმა,—გამოავდეს! ჯერ დავნიშნე, იკულულუტა — გამოავდეს! (წაგლანჯავს ჩექმებს) აქ მოიტა ჩექმები... ფული? ფულებიც მომე; ფულებიც შე...

იოთ. (უნებურად აძლეფს) აჰა!

ჩიფ. არ გაბელო და თვლით არ დამენახო, სახლში არ შემოვიშვებ! შენ შვილი-კო არა მტერი ხარ მკვლელი ჩემი! დაე, მგლებმა შეგკამონ, შე ავაზაკო! (ტარის) ერთად-ერთი იმედი მქონდა და ისიც გამიცრუვდა! ვუი, ვუი ჩემს თვლებს, ვუი ჩემს მოსწრებას! (გაღდის ტირილით)

იოთ. (თავს იდევებზე დაიშვებს, სრულებით განადგურებულად და უაზრად შეჭურვებს ხსდის კამტრებულ—გაწითლებულად)

გ. გუნია

ფარდა

რეკვიზიტი:

იოთამს—ბექდი და ფული. **თაფლოს**—პაპიროსები და სპიჩა, **ჩიფსიმეს**— ქალადლის და ვერცხლის ფული და ქალავა, **ნოდარს**—ჯოხი.



შირვანზადე (ალექსანდრე მოცესიანი)

ბიესა „ნამუსისათვის“-ის ავტორი

დაიბადა 1858 წ. შამახაში. პირველ დაწყებითი სწავლის მიღების შემდეგ სომეხთა სასწავლებელშიც და *Училище*-ში, ბაქოს რეალურ სასწავლებელში მოინდომა შესვლა, მაგრამ მამის გაკოტრების გამო ვეღარ მოახერხა და ადგილობრივ საბოქაულოში შევიდა გადაშვებულად. შეატყო პოლიციელად ვერ გამოდგებოდა, ამიტომ მალე თავი დაანება და 1875 წ. წავიდა ბაქოს, სადაც ერთ წელიწად-ნახევარი სავაზებერნო სამართველოში იმსახურა გადაშვებულად. მალე ბუჰხალტერობა შეისწავლა და ნავთის ერთს ქარხანაში შევიდა ბუჰხალტერად. სწო-

რედ ამ დროს გაიგო შ—მ რომ ქვეყანაზე მწიგნობრობა არსებობდა. პირველში რუსულად დაიწყო კორესპონდენციების წერა რუსულ გაზეთებში, შემდეგ თავი დაანება და სომხურად დაიწყო წერა „შშაკში“ 1879 წ. 1883 წ. ამავე გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ცეცხლი ნავთის ქარხანაში“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

სომეხთა მხატვრულ ლიტერატურაში შ—მ პირველად დაასურათა ცოცხლად—მდიდარ ფაბრიკანტებისათვის რამდენად უმნიშვნელოა მუშის სიცოცხლე. 1884 წ. თბილისში ვადმო-სახლდა და ხელი მიპყო სამწერლო მუშაობას, თანამშრომლად ჟურ. „არაგანქში“.

მას შემდეგ შ—მ გამოაქვეყნა ერთი-მეორეზე უკეთესი ნაწარმოებნი: „ნაქოს დიდურადან“, „ნაშუსი“, „არამიანი“, „არსენ დამაქსიანი“. მეტადრე „ქაოსი“, რომელიც მის ნაწარმოებთა შორის უკეთესთაგანია.

შ—ე მიმდევარია ემილ ზოლასი და რეალურ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელია სომხურ ლიტერატურაში. მის მოთხრობათა სიუჟეტი ქალაქის ცხოვრებიდანაა აღებული.

შ—ე სომეხთა შორის ცნობილია, როგორც საუკეთესო საყვარელი ბელეტრისტი და დრამატურგი; გ. სუნდუკიანის შემდეგ პირველი ალბაგი უჭირავს სომეხ დრამატურგთა შორის. მისი

პირველი პიესა, თუ არა ვცდებით, წარმოდგენილი იქნა 1893 წ. პიესა კრიტიკოსებმა ერთხმად დაიწუნეს, შემდეგ აღარც წარმოუდგენიათ. ხალხს ეგონა, შ—ე ხელს აიღებს პიესების წერაზეო, მაგრამ რვა წლის შემდეგ იგი ხელახლად გამოვიდა სათეატრო ასპარეზზე: 1901 წარმოდგინეს „ეგვიპტის“, 1902 წ. „უფლება ჰქონდა“?, 1904 წ. „ნამუსისათვის“, 1908 წ. „ნანგრევების“. შემოსწავლულ პიესათაგან „ნამუსისათვის“ და „ეგვიპტის“-ს სომხურ რეპერტუარში საპატრიო ალაგი უჭირავთ და არდგენენ ყველა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, სადაცკი სცენა არსებობს. 1909 წ. დასწერა ორი პიესა „აწმუხუჭი“ და „დაღუბული“. ამ ჟამად შ—ე სახლობით პაროზში ცხოვრობს და განაგრძობს პიესების წერას: ახლა-ხან დაუმთავრებია პიესა „შარღატისა“, ხუმრობა სამ მოკ.

შ—ეს ნაწერთა უმთავრესი ღირსებაა: პსიხოლოგიური თანდათანობა, ყოფა-ცხოვრების, ზნე - ჩვეულების აღწერა და ტიპების კარგად დასურათება.

რუსულად გადათარგმნილია მისი ექვსი მოთხრობა და „ნამუსისათვის“. ფრანგულად გადათარგმნილია „არტისტი“ მოთხრობა, და „ნამუსისათვის“.

ქართულად-კი, სამწუხაროდ, შ—ეს არც ერთი მოთხრობა არ არის ნათარგმნი, მხოლოდ ახლა-ხან გადათარგმნა მისი ორი საუკეთესო პიესა „ეგვიპტის“ და „ნამუსისათვის“. ამ უკანასკნელი პიესის წარმოდგენა დანიშნულია ღღეს ქართულ თეატრში ტასო აბაშიძის საბენეფისოდ.

უ. კ—ნი

სომეხთა მსახიობნი

ბარბარე მელიქიანი. ხვალ, 15 თებ. არტისტ საზ. თეატრში სომეხთა დრამატული საზოგადოება ღღესსწაულობს მსახიობ ქალის ბ. მელიქიანის 25 წლ. სასცენო მოღვაწეობას.

ბ. მ. დაიბადა თბილისში 1868 წ. სწავლობდა გაიანეს სასწავლებელში, სცენის ტრფიანობით აღტაცებულმა მეოთხე კლასიდან მიანება თავი სასწავლებელს; ამის მიზეზი იყო, სხვათა შორის, მისი და, 80 წ. სომხურ სამუდამო დასის მსახიობი. ბ. მ. პირველად განსვენებულმა ასტილკამ (ნიკიერი მსახიობი-ქალი სირანუშას და) მიიწვია თავის გამოსამზიდებელ წარმოდგენაში და პატარა ქალის როლი ათამაშა.

მას შემდეგ ბ. მ. ხშირად მონაწილეობდა სცენის მოყვართა წარმოდგენებში, ჩმუქიანის და ტურ-გრიგორიანის შედგენილ დასში ჰრიფსიმეს ფსევდონიმი. მერე ე. აბაშიძის თხოვნით შევიდა ქართულ დრამ. დასში, რის შემდეგაც მონაწილეობდა სომხურსა და ქართულ სცენებზე, როგორც გამჭირავი მშრომელთაგანი.

დაე, კვლავ ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე ხელოვნების წმინდა ტაძარში სასამსახელოდ, საზოგადოების სასარგებლოდ და თავისა და სასახელოდ.

ჩეჩენი მსახიობნი

ტასო აბაშიძე (ანასტასია ვასილის ასული აბაშიძე-ყარაღაშვილისა). ღღდა ნახე, მამა ნახე, შევლი იხე გამონახეო, სწორედ ტასო აბაშიძეზე ითქმის. სრული ათი წელიწადია, ეს ნიკიერი ქალი უნიკიერესი ღღდამის შვილი ქართულ თეატრს შეეძინა და სახელოვანდაც ემსახურება სამშობლო სცენას, როგორც ზენაარ ნიკით მომადლებული, შეგნებული და განვითარებული მსახიობი. მისი ამპლუა ენეენი-კომიკ და ენეენი-დრამატიკ. ტ. ა. გარდა იმისა, რომ დრამატულ დასში მსახურებს, ოპერასა და ოპერეტკებშიაც მღერის.

ღღეს მისი ბენეფისია ქართულ თეატრში. საბენეფისოდ არჩეული აქვს ახალი პიესა შირვანზადის „ნამუსისათვის“. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება პატივს სცემს საყვარელ მსახიობ ქალს და ღღეს ქართულ თეატრში დაესწრობა მის ბენეფისს.

ნემო (მ. ჯანაოვი) ქუთათური მსახიობი, რომლის ბენეფისიც 18 თებერვალსა დანიშნული ქუთაისის თეატრში, 17 წ-ღია სცენაზე მოღვაწეობს, როგორც მსახიობი და სათეატრო საქმის მომწყობი. სთამაშობს სახასიეთო, განსაკუთრებით კომიკურ როლებს და იმერე ებრკლება ტიპების გაპირიგებაში ხომ შეუდარებელია, როგორც ადამიანი, ნემო ამხანაგ-მეგობართა გულშემტკივარია. იმღღია, ქუთაისის საზოგადოება ღღესსეულად შეეგებება ამგვარი მსახიობის ბენეფისს.

ტაშენტიდან ღღესში სამწუხარო ამბავი გვაუწყა: 12 თებერვალს, შუადღის ორ საათზე **გარდაიცვალა** რუსეთის ღღდებული მსახიობი ქალი **ვერა თეოდ. ასული კომისარევესკიაი.**

რედაქ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**